საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-08/6001
15/06/2020

6001-2-08-2-202006151143

სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარეს

ბატონ ლევან რაზმაძეს

ბატონო ლევან,

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ (შემდგომში- გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი) მოთხოვნათა შესაბამისად, გაცნობებთ, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (შემდგომში - დეპარტამენტი) მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება იურიდიული მომსახურების გაწევაზე გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების ვადის გაზრდის შესახებ.

როგორც თქვენთვის ცნობილია, დეპარტამენტს და კომპანია Sinohydro Corporation Limited-ს (შემდგომში - კონტრაქტორი) შორის 2012 წლის 26 ნოემბერს გაფორმებული №RCIP/CW/ICB-02 ხელშეკრულების საფუძველზე კონტრაქტორმა განახორციელა ქობულეთის შემოვლითი გზის კმ12+400-კმ31+259 მონაკვეთის მშენებლობა. 2018 წლის 25 ივნისს სამუშაოების ზედამხედველმა ინჟინერმა Dohwa Engineering Co. Ltd-მ ხელშეკრულების ზოგადი პირობების მე-10 მუხლის შესაბამისად, გამოსცა სამუშაოების მიღება-ჩაბარების სერტიფიკატი (Taking over certificate No TOC.N1).

2019 წლის 19 დეკემბერს Sinohydro Corporation Limited-მა მიმართა ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა მიერ დანიშნულ დავების საბჭოს დეპარტამენტის მიერ ხელშეკრულების ზოგადი პირობების 2.1 და ხელშეკრულების სპეციალური პირობების 2.1 მუხლების დარღვევის გამო კონტრაქტორის მიერ გაწეული დამატებითი ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნით. აღნიშნული მოთხოვნის წარდგენის საფუძველია დეპარტამენტის მიერ ხელშეკრულებით დადგენილი სამშენებლო მოედნის გადაცემის ვალდებულების დარღვევა - დეპარტამენტმა ვერ შეძლო სამშენებლო მოედანი დროულად

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge

გამოესყიდა კერძო მესაკუთრეთაგან და გადაეცა კონტრაქტორისთვის. შესაბამისად, კონტრაქტორმა წარმოადგინდა ექსპერტის დასკვნა და დეპარტამენტისგან მოითხოვა ზიანის ანაზღაურება.

აღნიშნული დავის საწარმოებლად, დეპარტამენტმა 2019 წლის 31 დეკემბერს იურიდიული მომსახურების შესყიდვის თაობაზე ს და ს №12-20 ხელშეკრულება (CMR200002902) გააფორმა უცხოურ იურიდიულ კომპანია, Hogan Lovells International LLP-სთან (შემდგომში - კომპანია).

დავების საბჭოს მიერ დამტკიცებული პროცედურული ბრძანების შესაბამისად, დეპარტამენტის წარმომადგენელმა კომპანიამ დავის ფარგლებში ორჯერ წარადგინა შესაბამისი შეპასუხება. ამასთან, Hogan Lovells International LLP-მ მაქსიმალურად მოკლე ვადაში მოამზადა და დავების საბჭოს წარუდგინა სინოჰიდროს მიერ წარმოდგენილი ექსპერტის დასკვნის საპირწონე დოკუმენტი - საექსპერტო დასკვნა.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ხელშეკრულების მე-7 მუხლის თანახმად, კომპანია ვალდებულია დეპარტამენტს იურიდიული მომსახურება გაუწიოს 2020 წლის 30 ივნისის ჩათვლით, ხოლო ხელშეკრულება მოქმედია 2020 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

ხელშეკრულების ზოგადი პირობების 20.4 მუხლის შესაბამისად, დავების საბჭოს მიერ დავის განხილვა გრძელდება 84 დღის განმავლობაში. შესაბამისად, დეპარტამენტის მოლოდინის გათვალისწინებით, რომ დავა გადაწყდებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და დავების საბჭოში განხილვა დასრულდებოდა 2020 წლის მარტში, კომპანიასთან იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება გაფორმდა 2020 წლის 30 ივნისის ჩათვლით (მომსახურების გაწევის ვადა), რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო დავების საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მისი გასაჩივრებისთვის შემდგომი ქმედებების განხორციელება, ასეთის საჭიროების შემთხვევაში.

აღსანიშნავია, რომ Covid 19-ის გამო საქართველოსა და მსოფლიოში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, არაერთხელ გადაიდო დავების საბჭოს განხილვის ფარგლებში ჩასატარებელი ზეპირი მოსმენები. საბოლოოდ, მხარეთა და დავების საბჭოს შორის მრავალი კორესპონდენციის გაცვლის შემდეგ 2020 წლის 27-29 მაისს ჩატარდა დავების საბჭოს ზეპირი მოსმენები IDRC-ის ონლაინ პლატფორმის მეშვეობით. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ დავის განხილვების ბოლო დღეს, 2020 წლის 29 მაისს, დავების საბჭოს გაუჩნდა დამატებითი კითხვები კონტრატორთან, რის გამოც, საბოლოოდ გადაწყვიტა ზეპირი მოსმენის გადადება 2020 წლის 4 ივნისისთვის. შესაბამისად, დავების საბჭოს განხილვის ფარგლებში, 2020 წლის 4 ივნისს კვლავ ჩატარდა ზეპირი მოსმენა, რომელზეც დეპარტამენტს წარმოადგენდა კომპანია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, Covid 19-ის გამო საქართველოსა და მსოფლიოში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, არაერთხელ გადაიდო დავების საბჭოს განხილვის ფარგლებში ჩასატარებელი ზეპირი მოსმენები. შესაბამისად, ნაცვლად ხელშეკრულებით გათვალისწინებული 84 დღიანი ვადისა, დავების საბჭოს მიერ დავის განხილვა გაგრძელდა დაახლოებით 5 თვე.

გასათვალისწინებელია, რომ, როგორც დავების საბჭოს ზეპირი მოსმენების მიმდინარეობისას გამოიკვეთა, დავების საბჭოს დავის კომპლექსურობიდან გამომდინარე დასჭირდება მნიშვნელოვანი ვადა საკითხის გადასაწყვეტად. შესაბამისად, სხვა დავებზე არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, სავარაუდოა, რომ დავების საბჭო მოითხოვს გადაწყვეტილების მიღებისთვის განსაზღვრული ვადის - გაგრძელებას. ამასთან, დავების საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, შესაძლოა დამატებით გახდეს საჭირო კომპანიის მონაწილეობა დეპარტამენტსა და კონტრაქტორს შორის მიმდინარე დავის ფარგლებში.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დეპარტამენტს და კონტრაქტორს შორის 2012 წლის 26 ნოემბერს გაფორმებული №RCIP/CW/ICB-02 ხელშეკრულების ზოგადი პირობების 20.6 მუხლის შესაბამისად, დავების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საჩივრდება საერთაშორისო არბიტრაჟში, რომელსაც ამავე ხელშეკრულების სპეციალური პირობების 20.6 მუხლის შესაბამისად, წარმოადგენს სინგაპურის საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი (SIAC).

აღსანიშნავია, რომ Hogan Lovells-თან წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის №2646 განკარგულების ფარგლებში, რომლის შესაბამისადაც დეპარტამენტი უფლებამოსილია 2020 წლის განმავლობაში შეისყიდოს იურიდიული მომსახურება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. შესაბამისად, აღნიშნული განკარგულების საფუძველზე, დეპარტამენტი უფლებამოსილია განკარგულების ფარგლებში შესყიდული იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადა გააგრძელოს არაუმეტეს 2020 წლის 31 დეკემბრისა.

ამდენად, ვინაიდან, შესაძლებელია დავების საბჭომ მოითხოვოს გადაწყვეტილების მიღების ვადის გაგრძელება, ხოლო დეპარტამენტს დამატებით დასჭირდეს კომპანიის მიერ იურიდიული მომსახურების გაწევა დავების საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, მიზანშეწონილია ხელშეკრულებით განსაზღვრული იურიდიული მომსახურების გაწევის ვადა გაგრძელდეს 2020 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადა, შესაბამისად, 2020 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-7[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს თანხმობის მიღების შემდეგ, გამარტივებული შესყიდვის შესახებ სათანადო გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა უნდა შეთანხმდეს სააგენტოსთან. ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, გთხოვთ მოგვცეთ თანხმობა, რათა იურიდიული მომსახურების შესყიდვაზე გაფორმებულ ხელშეკრულებაში განვახორციელოთ ცვლილება და მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვროს 2020 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

პატივისცემით,

ალექსანდრე თევდორაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე